პოლიტიკური მეცნიერება
(პოლიტიკური მართვა; პარტიები და კამპანიური მენეჯმენტი; შედარებითი პოლიტიკა და რეგიონული უსაფრთხოება)

Political Science
(Political Management; Parties and Campaining Management; Comparative Politics and Regional Security)

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი
MA in Political Sciences

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე

4. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
პოლიტიკური მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მომზადებულია უცხოელ ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე. აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვენენ ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) აკადემიური სტიპენდიების პროგრამის (AFP) საერთაშორისო კონსულტანტები: სტივენ ინგლი (სტირლინგის უნივერსიტეტის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი) და პიტერ ვან ჰიუტენი (კემბრიჯის უნივერსიტეტი, პოლიტიკური მეცნიერების დოქტორი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამა აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდატებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროგრამის შედგენისას დეპარტამენტის წევრები ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკური მეცნიერების ეროვნული ასოციაციების მიერ ევროპის კონფერენციაზე შემუშავებული რეკომენდაციებით, რომელიც ბოლონიის პროცესთან დაკავშირებით პოლიტიკური მეცნიერების სწავლებაში უმაღლეს სასწავლებლების სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს.

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მენციერებათა ფაკულტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი გთავაზობთ სამაგისტრო პროგრამას სპეციალი¬ზაციის ფართო შესაძლებლობებით პოლიტიკური მეცნიერების შემდეგი მოდულების ფარგლებში

- **პოლიტიკური მართვა;**
- **პარტიები და კამპანიური მენეჯმენტი;**
- **შედარებითი პოლიტიკა და რეგიონული უსაფრთხოება.**

მიზანი: აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის უმთავრესი მიზანია მომავალი აკადემიური პერსონალის მომზადება. თუმცა, სპეციალიზაციის სფეროებიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამის ასეთივე უმთავრეს მიზანს პრაქტიკოსი-ანალიტიკოსების მომზადებაც შეადგენს. პროგრამა თანაბარ ყურადღებას აქცევს როგორც სწავლებას, ისე კვლევას. სამაგისტრო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებაში ისეა აგებული, რომ მაქსიმალურად სრულყოფილი საფუძველი მისცეს სტუდენტს

პოლიტიკური მეცნერების კვლევის მეთოდებში, თეორიებსა და სუბ-დისციპლინებში, რათა ამ გზით მოამზადოს ისინი ერთი მხრივ პრაქტიკული საქმიანობის, მეორე მხირვ კი სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებისათვის.

სამაგისტრო დონეზე სწავლა საბაკალავრო დონის სწავლებისაგან განსხვავებით სტუდენტისაგან მოითხოვს გაცილებით უფრო ინტენსიურ მუშაობასა და ვარჯიშს. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს აწვდის და უვითარებს გაცილებით ფართო და ამავე დროს სპეციფიურ ცოდნას პოლიტიკური მეცნიერების ცალკეულ სუბ-დისციპლინებში. სტუდენტებს უვითარდებათ მაღალი დონის კვლევითი უნარ-ჩვევები, სწავლობენ, თუ როგორ გაანალიზონ პრობლემები როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე.

პროგრამა ამზადებს სპეციალისტებს, რომელთაც შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ პოლიტიკაში: სტუდენტები იღებენ კარგ თეორიულ მომზადებას პოლიტიკურ მეცნიერებაში; ეჩვევიან კრიტიკულ აზროვნებას; კარგად იცნობენ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას; იცნობენ შესაბამისი პროფესიული ქცევისა და ეთიკის სტანდარტებს; პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიფართოოს თეორიული თვალსაწიერი, განავითაროს და დახვეწოს პოლიტიკის ფენომენის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები; პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს პოლიტიკაში პროფესიული კარიერის გასაკეთებლად აუცილებელი ცოდნითა და ხერხებით.

სამაგისტრო პროგრამის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ:

- მაგისტრანტი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნას იმ საგნებში, რომლებიც მან შეისწავლა და იმ სპეციალობაში, რომელსაც არჩეული მოდულის ფარგლებში დაეუფლა. ეს კვლევის კონტექსტში უზრუნველყოფს იდეის ორიგინალური განვითარების და/ან გამოყენების საფუძველს ან შესაძლებლობას.
- მაგისტრს უნდა შეეძლოს საკვლევი საკითხის გამოკვეთა და დასაბუთება; კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლის განსაზღვრა; ემპირიული და თეორიული მასალის შეჯერება და ამის საფუძველზე პოლიტიკური პროცესების ანალიზი; უნდა გააჩნდეს ცოდნის ინტეგრირების უნარი, შეეძლოს თავი გაართვას სირთულეებს და არასრულ ან შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, რომლებშიც მისი ცოდნისა და მოსაზრებების გამოყენებასთან დაკავშირებული სოციალური და ეთი¬კური პასუხისმგებლობაც აისახება;
- ამ უნარ-ჩვევების გამოყენება კონკრეტული საკითხებს გადაწყვეტისას პრაქტიკული საქმიანობის პროცესში; შეეძლებათ ცოდნისა და პრობლემების გადაჭრის უნარის გამოყენება ახალ ან უცნობ გარემოში თავიანთ დისციპლინასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე (მულტიდისციპლინურ) კონტექსტში;
- კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის შედეგების წერითი და ზეპირი პრეზენტაცია. შეეძლებათ თავიანთი დასკვნების საჯარო წარდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან.

დასაქმების სფეროები

მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს გააგრძერლოს როგორც არჩეულ სფეროში მეცნიერული მუშაობა, ასევე აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკურ საქმიანობაში: იგი მომზადებული იქნება იმისათვის, რომ იმუშაოს როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში, ისე არასამთავრობო სექტორში; იყოს პრაქტიკული ფუნქციონერი; შეასრულოს პოლიტიკური ანალიტიკოსის და პოლიტიკური კონსულტანტის როლი; იმუშაოს მედიაში _ პოლიტიკური ჟურნალისტიკის სფეროში.

5. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- ბაკალავრის ხარისხი სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში;
- 50 ქულაზე მეტის დაგროვება მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში, რომელიც ჩატარდება წერით (ესსე და ღია კითხვები).